

დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით

ოქმი #5
2017წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ
მეცნიერებათა ფაკულტეტის
(მასობრივი კომუნიკაციის, არქეოლოგიის, ეკონომიკის, თეოლოგიის
დარგი/სპეციალობის მიმართულებით)
სადისერტაციო საბჭოს

დებულება

დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური
საბჭოს მიერ
დადგენილება №2418
8 მაისი , 2017 წ.

მუხლი 1. დებულების მიზნები

დებულების მიზნებია:

- განსაზღვროს სადისერტაციო საბჭოს საქმიანობის წესი;
- განსაზღვროს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის წესი;
- დაადგინოს სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება;
- განსაზღვროს დოქტორანტურაში ჩარიცხვის წესი;
- განსაზღვროს დოქტორანტურაში სწავლის პროცესი;
- დაადგინოს დისერტაციის დაცვის პროცედურა.

მუხლი 2. სადისერტაციო საბჭო

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო.

1¹. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო (მასობრივი კომუნიკაციის, არქეოლოგიის, ეკონომიკის, თეოლოგიის დარგი/სპეციალობის მიმართულებით) შედგება ფაკულტეტის შესაბამისი დარგის/სპეციალობის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისაგან.

2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შუამდგომლობით, შესაძლებელია სადისერტაციო საბჭოში მოწვეული იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ არის უნივერსიტეტის თანამშრომელი და ფაკულტეტის რომელიმე სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგში უკანასკნელ 5 წელიწადში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 შრომისა.

3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სადისერტაციო საბჭო 3 წლის ვადით, ღია კენჭისყრით, სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე. ერთი და იგივე პირი თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

4. თავმჯდომარის წარდგინებით, სადისერტაციო საბჭოს შეუძლია აირჩიოს თავმჯდომარის მოადგილე/მოადგილეები.

5. სადისერტაციო საბჭოს მდივნის კანდიდატურას (საბჭოს შემადგენლობიდან) წარადგენს თავმჯდომარე და ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

6. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომაზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა ნახევარზე მეტი.

7. სადისერტაციო საბჭო საქმიანობას წარმართავს სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული წინამდებარე დებულების მიხედვით.

8. საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

9. სადოქტორო დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციას ამტკიცებს სტუ-ს აკადემიური საბჭო.

მუხლი 3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება:

1. სადისერტაციო საბჭოს სხდომის მოწვევა. თავმჯდომარესთან შეთანხმებით, საბჭოს სხდომის მოწვევა შეიძლება მისი მოადგილის ინიციატივით.

2. საბჭოს მუშაობის ხელმძღვანელობა სხდომებს შორის. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, აგრეთვე, სადისერტაციო საბჭოს ახალი თავმჯდომარის არჩევამდე პერიოდში, საბჭოს მუშაობის ხელმძღვანელობს თავმჯდომარის მოადგილე.
3. სწავლების დეპარტამენტში მოხსენებითი ბარათის წარდგენა:
 - ა) შესაბამის პროგრამებზე ვაკანტური ადგილების გამოყოფის შესახებ
 - ბ) საფაკულტეტო დროებითი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;
4. საკითხის გატანა სადისერტაციო საბჭოზე:
 - ხელმძღვანელის დამტკიცების/შეცვლის/დამატების თაობაზე;
 - თემის დამტკიცების/შეცვლის თაობაზე;
 - დისერტაციის დაცვის თარიღის, სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობისა და რეცენზენტების დასამტკიცებლად;
 - დოქტორანტორაში ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადების კოორდინაცია/ხელმძღვანელობა.
5. დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 3¹. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილება

- დოქტორანტურაში მისაღები კონტინგენტის განსაზღვრის მიზნით ვაკანტური ადგილების შეთანხმება აკადემიურ დეპარტამენტებთან;
- საფაკულტეტო დროებითი კომისიის შემადგენლობის შესახებ წინადადების მომზადება;
- სასწავლო და ფინანსური ხელშეკრულებების გაფორმების და შესრულების მონიტორინგი;
- სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ჩაბარების მონიტორინგი;
- საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, აგრეთვე, სადისერტაციო საბჭოს ახალი თავმჯდომარის არჩევამდე პერიოდში, საბჭოს მუშაობის ხელმძღვანელობა;
- დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.

მუხლი 4. სადისერტაციო საბჭოს მდივნის უფლებამოსილება

1. სადისერტაციო საბჭოს მდივნის უფლებამოსილებაა:
 - სადისერტაციო საბჭოს სხდომების ორგანიზება;
 - ფაკულტეტის ვებგვერდზე ინფორმაციის დროულ განთავსების უზრუნველყოფა;
 - აპლიკანტის საბუთების შემოწმება;
 - ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება;
 - დოქტორანტის ხელმძღვანელის დანიშვნის/შეცვლის შესახებ საკითხის მომზადება, შესაბამისი საუნივერსიტეტო ბრძანების პროექტის მომზადება;
 - დოქტორანტის თემის დამტკიცების/შეცვლის/დასახელების კორექტირების შესახებ საკითხის მომზადება, შესაბამისი საუნივერსიტეტო ბრძანების პროექტის მომზადება;
 - სემინარების/კოლოკვიუმების ჩატარების ორგანიზება (კომისიის შემადგენლობის, სხდომის ჩატარების დროისა და ადგილის განსაზღვრა), ასევე შესაბამისი საფაკულტეტო ბრძანების პროექტის მომზადება;

- დამამთავრებელ სემესტრში სადისერტაციო ნაშრომის დარგობრივ კოლეგიაზე წარდგენის ორგანიზება, შუალედური შეფასებების მონიტორინგი;
 - დოქტორანტის სადისერტაციო დოკუმენტაციის აღრიცხვა;
 - დაცვისათვის დისერტანტის საბუთების შემოწმება, დაცვის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება;
 - სადისერტაციო კოლეგიის მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების (ოქმის) საფუძველზე ბრძანების პროექტის მომზადება დოქტორის დიპლომის გაცემისათვის;
 - დისერტანტის სააღრიცხვო ბარათის მომზადება.
 - დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილების განხორციელება.
2. მდივნის არყოფნის შემთხვევაში, თავმჯდომარე (მოადგილე) უფლებამოსილია მდივნის მოვალეობა დააკისროს საბჭოს ერთ-ერთ წევრს.

მუხლი 4¹. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის უფლებამოსილება

1. შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის დოქტორანტის სავარაუდო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო თემის/თემების განხილვაში მონაწილეობა;
2. საფაკულტეტო დროებით კომისიაში, სემინარების/კოლოკვიუმების კომისიებში, დარგობრივ, დაცვის კოლეგიებში მონაწილეობა (შერჩევით, თავმჯდომარის გადაწყვეტილებით);
3. სადოქტორო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ წინადადებების განხილვა/მომზადება;
4. პროგრამაზე მობილობით გადმოსული სტუდენტის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების და არჩეული პროგრამის თავსებადობის დადგენაში მონაწილეობა;
5. პროგრამის განხორციელების სისტემატური მონიტორინგი და ანალიზი;
6. აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

მუხლი 4². აკადემიური დეპარტამენტის უფროსის უფლებამოსილება

1. აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე დოქტორანტების მისაღები ადგილების (ვაკანსიების) შესახებ საკითხის განხილვა;
2. აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე დოქტორანტის/დოქტორანტების სავარაუდო ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი სადისერტაციო თემის/თემების განხილვა;
3. საფაკულტეტო დროებით კომისიაში, სემინარების/კოლოკვიუმების კომისიებში, დარგობრივ, დაცვის კოლეგიებში მონაწილეობა (შერჩევით, თავმჯდომარის გადაწყვეტილებით);
4. დარგობრივი კომისიის შემადგენლობის შესახებ წინადადების დამუშავება და აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე განხილვა;
5. კომპონენტის „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ მეორე შუალედური ტესტირების (წინასწარი დაცვის) შედეგების აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე განხილვა დაცვაზე დაშვების რეკომენდაციის მიცემის მიზნით;

6. აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

მუხლი 5. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

1. დოქტორანტურაში დოქტორანტობის კანდიდატების განცხადებების შემოტანის და მათი ჩარიცხვის ვადებს ადგენს აკადემიური საბჭო სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით. ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს რექტორის ბრძანებით სწავლის დაწყებამდე.

2. ფაკულტეტის თითოეულ პროფესორს (მათ შორის მოწვეულს), აგრეთვე სტუ-სთან ინტეგრირებული სამეცნიერო ინსტიტუტის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მეცნიერ-თანამშრომელს, სტუ-ს სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე თანამშრომელს, შესაბამისი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, უფლება აქვს დოქტორანტურაში მიღების გამოცხადებამდე, სადისერტაციო საბჭოში წარადგინოს ერთი ან რამდენიმე სადისერტაციო თემის სავარაუდო დასახელება.

3. პროფესორი, როგორც წესი, ერთდროულად შეიძლება იყოს არაუმეტეს 4 (ოთხი) დოქტორანტის ხელმძღვანელი, მათ შორის არაუმეტეს 2 დოქტორანტისა სწავლების ერთ წელზე.

4. აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ, როგორც წესი, ერთი სადისერტაციო თემის წარმოდგენის და, შესაბამისად, მოცემულ სასწავლო წელს დოქტორანტის აყვანის ნება შეიძლება დართოს ასოცირებულ პროფესორს.

5. აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის შუამდგომლობით ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭომ დოქტორანტს სწავლების მეორე წლიდან შეიძლება დაუმტკიცოს ორი ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელები); ერთ-ერთი თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს სხვა (პარტნიორი) დაწესებულების თანამშრომელი, თუ სტუ-სა და ამ დაწესებულებას შორის არსებობს გაფორმებული ხელშეკრულება/მემორანდუმი.

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე სწავლების დეპარტამენტში წარადგენს წერილობით ინფორმაციას აკადემიური საბჭოს მიერ შესაბამის პროგრამებზე ვაკანტური ადგილების გამოყოფისა და საფაკულტეტო დროებითი კომისიის/კომისიების შემადგენლობის დამტკიცების თხოვნით.

საფაკულტეტო დროებითი კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ფაკულტეტის არანაკლებ 4 პროფესორი/ასოცირებული პროფესორი, რომლებმაც საფაკულტეტო დროებით კომისიაში მონაწილეობის შესახებ თავიანთი თანხმობა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს წერილობით უნდა დაუდასტურონ; საფაკულტეტო დროებით კომისიას, როგორც წესი, ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე.

6. საფაკულტეტო დროებითი კომისიის ძირითადი დანიშნულებაა დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატთა განცხადებების განხილვა, მათთან გასაუბრება და გადაწყვეტილების მიღება დოქტორანტურაში ჩასარიცხად რეკომენდაციების მიცემის ან უარის შესახებ. (20.03.2015, №1475)

6¹. სადოქტორო პროგრამებზე ვაკანსიებს და საფაკულტეტო დროებითი კომისიების შემადგენლობებს ამტკიცებს აკადემიური საბჭო სწავლების დეპარტამენტის წარდგინებით. დამტკიცებული სადოქტორო პროგრამების ვაკანსიების ნუსხა განთავსდება სტუ-ს ვებგვერდზე სწავლების დეპარტამენტის მიერ. (20.03.2015, №1475)

7. დოქტორანტურაში ჩარიცხვის და სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

8. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობა არის დოქტორანტობის კანდიდატის მონაცემების ამ დებულებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობა, ასევე, მხედველობაში მიიღება:

- სამეცნიერო პუბლიკაციების არსებობა;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).

9. რეგულირებად საგანმანათლებლო პროგრამებზე დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველის მიერ გავლილი სამაგისტრო ან მასთან გათანაბრებული საგანმანათლებლო პროგრამა და არჩეული სადოქტორო პროგრამა, როგორც წესი, უნდა მიეკუთვნებოდეს მეცნიერების ერთ დარგს; შესაბამისობას ადგენს საფაკულტეტო დროებითი კომისია.

10. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა სადისერტაციო საბჭოში უნდა წარადგინოს:

- განცხადება სტუ-ს რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სადოქტორო პროგრამის მითითებით (2 ეგზ.);
- მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ (2 ეგზ.);
- სათანადო აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი და დიპლომის დანართი (აკადემიური ცნობა) და მათი ასლები (2-2 ეგზ.);
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და მისი ასლი (2 ეგზ.);
- 2 ფოტოსურათი, ზომით 3x4 (სმ), ქაღალდისა და ელექტრონული ვერსია ცომპაქტ-დისკზე (CD);
- მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულებისათვის) და მისი ასლი (2 ეგზ.);

11. თუ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა (არანაკლებ 5 წელი), აპლიკანტი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ცნობა, რითაც დასტურდება მისი უფლება აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის (დოქტორანტურის) საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ. აღნიშნული ცნობის არ ქონის შემთხვევაში, რექტორის ნებართვით, აპლიკანტის განცხადება შეიძლება პირობით იქნას მიღებული. სწავლის დაწყებიდან 2 თვის ვადაში ცნობის წარმოდგენლობა არის პირის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

12. განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ მონაცემებში სამეცნიერო პუბლიკაციების და კონფერენციებში მონაწილეობის მითითების შემთხვევაში, დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარადგინოს აგრეთვე აღნიშნული

მასალების დედნები. საბუთების პირველადი შემოწმება ხდება ფაკულტეტზე, სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ. შემოწმების შემდეგ საბუთების დედნები უბრუნდება წარმომდგენს, ასლები კი რჩება პირად საქმეში.

13. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველს სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ ვიზირებული განცხადება დანარჩენ საბუთებთან ერთად შეაქვს სტუ-ს კანცელარიაში. რეგისტრირებული განცხადება რექტორის რეზოლუციით შესამოწმებლად გადაეცემა სწავლების დეპარტამენტს. შემოწმების შემდეგ საბუთები გადაეცემა შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანს.

სადოქტორო პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად, ჩარიცხვის წინაპირობა შეიძლება იყოს გამოცდის ჩაბარება უცხოურ ენაში/ენებში ან უცხოური ენის გარკვეულ დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატის არსებობა. აპლიკანტებს, რომელთაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ შესაბამის უცხოენოვანი პროგრამა), გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.

გამოცდა უცხოურ ენაში ტარდება რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში სტუ-ს საგამოცდო ცენტრში. უცხოურ ენაში გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 35%-ს.

14. დოქტორანტურაში ჩარიცხვის ვადების ამოწურვამდე, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე უზრუნველყოფს საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ჩატარებას, კანდიდატებთან გასაუბრებისა და მონაცემთა განხილვის შედეგების წარდგენას სწავლების დეპარტამენტში.

15. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმში დოქტორანტურაში ჩასარიცხ თითოეულ კანდიდატზე უნდა მიეთითოს:

- გვარი, სახელი, პირადი ნომერი;
- დაბადების თარიღი;
- განათლება;
- მონაცემები კვლევითი საქმიანობის შესახებ;
- სადოქტორო პროგრამის დასახელება;
- უცხოურ ენაში გამოცდის/გამოცდების შედეგები ან სათანადო სერტიფიკატის არსებობა (საჭიროების შემთხვევაში);
- გადაწყვეტილება კანდიდატის დოქტორანტურაში ჩასარიცხად რეკომენდაციის მიცემის ან უარის შესახებ.

16. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმს (ოქმებს) ხელს აწერს საფაკულტეტო დროებითი კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

17. საფაკულტეტო დროებითი კომისიის სხდომის ოქმი (ოქმები) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებით ბარათთან ერთად (რაც წარმოადგენს დოქტორანტურაში ჩარიცხვის საფუძველს), წარედგინება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტს, რომელიც ამ დებულებით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოფს დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადებას, ბრძანება უნდა განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე. (20.03.2015, №1475)

18. დოქტორანტურაში ჩარიცხვის ბრძანების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დოქტორანტმა სტუ-სთან უნდა გააფორმოს სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებები.

19. სწავლის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში სავარაუდო ხელმძღვანელი სადისერტაციო საბჭოში წარადგენს დოქტორანტის პერსონალურ სამუშაო გეგმას (დანართი 1). სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათის (სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერთან ერთად) საფუძველზე სწავლების დეპარტამენტი ადგენს ბრძანების პროექტს სამეცნიერო ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ. სწავლების პირველი წლის პირველი სემესტრის დასრულებამდე არანაკლებ ერთი კვირით ადრე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტებისათვის სადისერტაციო თემების დამტკიცების თაობაზე. ამ გადაწყვეტილების (სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერი და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათი) საფუძველზე სწავლების დეპარტამენტი ადგენს ბრძანების პროექტს სადისერტაციო თემების დამტკიცების შესახებ. ბრძანება უნდა გამოვიდეს მეორე სემესტრის დაწყებამდე.

მუხლი 6. დოქტორანტურაში სწავლა

1. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არის 180 კრედიტი, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, სემესტრში - 30 კრედიტი; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემა შესაბამისი კრედიტებით წარმოდგენილია დანართში (დანართი 2);

2. დოქტორანტის შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების საფუძველზე. სასწავლო და კვლევითი კომპონენტები, გარდა კომპონენტისა „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს დოქტორანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას, ხელს უწყობს დოქტორანტს სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში, ამზადებს მას მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისათვის.

4. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია (2012-2013 სასწავლო წლიდან 2014-2015 სასწავლო წლამდე დამტკიცებული პროგრამებისათვის):

- აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები - 5 კრედიტი;
- სწავლების მეთოდები - 5 კრედიტი;
- პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი;
- სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებულ სპეცკურსები - 15 კრედიტი;
- ორი თემატური სემინარი - 30 (15+15) კრედიტი;

5. სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია:

- სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი-1 – 10 კრედიტი;
- სადისერტაციო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი-2 – 20 კრედიტი;
- თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი-1 – 15 კრედიტი;
- თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი-2 – 15 კრედიტი;
- თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა /კოლოკვიუმი-3 – 30 კრედიტი;
- დისერტაციის დასრულება და დაცვა – 30 კრედიტი.

5¹. როგორც წესი, დაუშვებელია კომპონენტის „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ პარალელურად სხვა კომპონენტების გავლა. (20.03.2015, №1475)

6. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების ცოდნის შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა მოცემულია სილაბუსებში, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: <http://www.gtu.ge/quality/axali/shefasebisforma.pdf>. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შეფასების წესი მოცემულია დებულების დანართის სახით (დანართი 3).

7. დოქტორანტის მიერ კვლევითი კომპონენტის კრედიტების დაგროვება, სასწავლო კურსების ანალოგიურად, ყოველ სასწავლო სემესტრში დასტურდება თემის ხელმძღვანელის მიერ, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სქემით განსაზღვრულ ვადებში, სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად;

8. სემინარებისა და თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმების დასკვნითი შეფასება ხორციელდება კომისიური წესით; აღნიშნული პროცესების, აგრეთვე დისერტაციის წინასწარი განხილვისა და დაცვის მიმდინარეობა ჩაიწერება ელექტრონულად. ჩანაწერი (კომპაქტ-დისკზე) ინახება სტუდენტის პირად საქმეში.

9. დოქტორანტი ვალდებულია დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში, სადისერტაციო საბჭოში ნაშრომის დასაცავად წარდგენამდე გამოაქვეყნოს სულ მცირე სამი სამეცნიერო სტატია და მიიღოს მონაწილეობა (პირადად გააკეთოს მოხსენება) ერთ სამეცნიერო კონფერენციაში მაინც. სტატიებში ასახული უნდა იყოს სადისერტაციო თემაზე შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი შედეგები. სამეცნიერო სტატიები უნდა გამოქვეყნდეს საერთაშორისო მიმოქცევაში არსებულ უცხოეთის რეიტინგულ გამოცემებში, სადისერტაციო საბჭოების მიერ რეკომენდებულ და სტუ-ს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს მიერ ამ მიზნით აღიარებულ გამოცემებში, ან ისეთ დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც გავრცელებულია საერთაშორისო მასშტაბით და რეფერირებულია ერთ-ერთ საერთაშორისო რეფერატულ ჟურნალში. დოქტორანტს ნაშრომი გამოქვეყნებულად ეთვლება, თუ ჟურნალის შესაბამისი ტომი (ნომერი) უკვე დაბეჭდილია ან ნაშრომი განთავსებულია ჟურნალის ოფიციალურ ვებგვერდზე. ნაშრომები გამოცემული უნდა იყოს გამოცემათა სულ მცირე ორ ერთეულში.

მუხლი 2¹. სტუდენტის შეფასება

1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.
2. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) უნდა განესაზღვროს ხვედრითი წილი (შესაძლებელია, გამოსახული იყოს პროცენტებში) საბოლოო შეფასებაში. აღნიშნული ხვედრითი წილი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით სასწავლო სემესტრის განრიგის შესახებ.
3. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება ამ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
4. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.
5. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმი ადეკვატური უნდა იყოს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის.
6. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების მაქსიმალური ქულის 50%-ს. სტუ უფლებამოსილია შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სასწავლო სემესტრის განრიგის შესახებ.
7. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.
8. დისერტაცია უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.
9. შეფასების სისტემა უშვებს:
 - ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:
 - ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
 - ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
 - ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
 - ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
 - ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
 - ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
 - ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
 - ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

10. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დეკანატი ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 10 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ.

11. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

12. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

13. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, აგრეთვე დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვრის არ გადალახვისას, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

14. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის/კომპონენტების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს.

15. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი/კომპონენტები უნდა შეფასდეს ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული სისტემით.

16. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასების სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

17. ამ მუხლის მე-16 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო მე-16 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

მუხლი 7. დოქტორანტის ხელმძღვანელისა და სადისერტაციო თემის შეცვლა/ დასახელების კორექტირება, დოქტორანტის სტატუსის შეჩერება

1. მომდევნო სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე, დოქტორანტის მოთხოვნით, აკადემიური დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, შეიძლება შეიცვალოს ან დაემატოს ხელმძღვანელი მათი თანხმობის საფუძველზე, აგრეთვე ხელმძღვანელის ასეთივე მოთხოვნით შეიძლება გაუქმდეს მისი ვალდებულებებიც.
2. დოქტორანტის და ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების ერთობლივი დასაბუთებული მოთხოვნით და აკადემიური დეპარტამენტის უფროსთან შეთანხმებით, მომდევნო სემესტრის დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე შეიძლება იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეიცვალოს სადისერტაციო თემა ან მოხდეს მისი დასახელების კორექტირება. სადისერტაციო თემის დასახელების კორექტირება დასაშვებია დისერტაციის სადისერტაციო საბჭოში დასაცავად წარდგენამდე. დაუშვებელია სადისერტაციო თემის და ხელმძღვანელის შეცვლა ან დამატება ბოლო სემესტრის წინ ან მის განმავლობაში.
3. ხელმძღვანელის შეცვლის ან დამატების, სადისერტაციო თემის იმავე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეცვლის ან დასახელების კორექტირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის შესაბამისი მოხსენებითი ბარათი, სადისერტაციო საბჭოს ოქმთან ერთად, წარედგინება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტს, რომელიც, არსებული წესის თანახმად, უზრუნველყოფს შესაბამისი ბრძანების პროექტის მომზადებას.
4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ სათანადო სასწავლო ან/და კვლევითი კომპონენტების ნაწილის შეუსრულებლობისას დოქტორანტს აქვს უფლება, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით გააგრძელოს დოქტორანტურაში სწავლა ერთი ან ორი დამატებითი სემესტრის განმავლობაში, ამისათვის მან მითითებული პროგრამის ვადის დასრულებისას, მომდევნო სემესტრის დაწყებამდე არა ნაკლებ ორი კვირით ადრე განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს და, შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემთხვევაში, გააფორმოს სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულება არსებული წესის თანახმად.
5. დოქტორანტს, რომელმაც გეგმურ ვადაში საგანმანათლებლო პროგრამა ვერ დაასრულა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით დამატებით სემესტრში სტატუსის გაგრძელების შესახებ განცხადებით არ მიმართა რექტორს, დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.
6. სტატუსშეჩერებულ დოქტორანტს უფლება აქვს, სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე განცხადებით მიმართოს რექტორს. დეკანის მიერ შექმნილი კომისია განიხილავს და აფასებს დოქტორანტის სადისერტაციო თემის აქტუალურობასა და მიღებული შედეგების სამეცნიერო ღირებულებას. განხილვის შედეგად კომისიამ შეიძლება განსაზღვროს დამატებით დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობა და, შესაბამისად, დისერტაციის დასაცავად წარდგენის ბოლო ვადა. კომისიის მიერ დამატებით 60-ზე მეტი კრედიტის გავლის საჭიროების შემთხვევაში, დოქტორანტმა შეიძლება შეიცვალოს სპეციალობა (პროგრამა) სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად.

მუხლი 8. დისერტაციის წარდგენა

1. სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დასრულების შემდეგ დოქტორანტი შესრულებული სამუშაოსა და კვლევის საბოლოო შედეგების საფუძველზე სადოქტორო პროგრამის ენაზე აფორმებს დისერტაციასა და ავტორეფერატს მათი გაფორმების ინსტრუქციების შესაბამისად (დანართი 4, 5) და დასრულებულ დისერტაციასა და ავტორეფერატს წარადგენს სადისერტაციო საბჭოში განსახილველად, დისერტაციის დაცვის მიზნით.

2. დასრულებული დისერტაცია სადისერტაციო საბჭოს განსახილველად გადაეცემა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვამდე არანაკლებ ორი და არაუმეტეს სამი თვით ადრე. დისერტაციის წარდგენის წინაპირობა ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებთან ერთად არის კომპონენტში „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ ორი შუალედური ტესტირების ჩაბარება და თითოეულში არანაკლებ 15-15 ქულის (მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 50%-ის) მიღება. პირველი შუასემესტრული ტესტირება ბარდება უშუალოდ სამეცნიერო ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელებთან, ხოლო მეორე ტესტირება (წინასწარი დაცვა) – დარგობრივ კოლეგიასთან (სექციასთან). დარგობრივი კოლეგია (სექცია) შედგება აკადემიური დეპარტამენტის იმ პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ სადოქტორო პროგრამის შესაბამის მეცნიერების დარგს. დარგობრივ კოლეგიაში (სექციაში) შეიძლება შეყვანილი იქნენ აღნიშნული დარგის სხვა კვალიფიციური სპეციალისტებიც. დარგობრივი კოლეგია (სექცია) უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისაგან.

3. დოქტორანტმა სადისერტაციო საბჭოს უნდა წარუდგინოს:

- განცხადება სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სახელზე დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ;
- დისერტაციის 4 აკინძული ეგზემპლარი, პროგრამის ენაზე შესრულებული ავტორეფერატის 10 ეგზემპლარი და მისი ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);
- დოქტორანტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელების წერილობითი დასკვნა დისერტაციის შესახებ;
- სადისერტაციო თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, სამეცნიერო სემინარების, ფორუმებისა და კონფერენციების მასალები, გამოგონების/გამოგონებების (არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი/დოკუმენტები და აგრეთვე მათი სია;
- სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების ამსახველი შეფასებების (ნიშნების) ფურცელი;
- კომპონენტში „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ შუალედური ტესტირებების შედეგების ამსახველი უწყისი;
- სემინარების, კოლოქვიუმების და კომპონენტში „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ მეორე შუალედური ტესტირების (წინასწარი დაცვის) ელექტრონული ჩანაწერები.

მუხლი 9. დისერტაციის დაცვის თარიღის, კოლეგიის შემადგენლობის და რეცენზენტების დამტკიცება

1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს მდივანი ერთი კვირის ვადაში ამოწმებს დოკუმენტაციას და განსახილველად გადასცემს სადისერტაციო საბჭოს, რომელიც საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით მიიღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის დაცვაზე დაშვების ან დაცვაზე უარის თქმის შესახებ; დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ინიშნება დისერტაციის დაცვის თარიღი, მტკიცდება სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობა (მათ შორის, კოლეგიის თავმჯდომარის კანდიდატურა) და ორი რეცენზენტი. კოლეგიის თავმჯდომარე უნდა იყოს სტუ-ს აკადემიური პერსონალი.
2. დისერტაციის დაცვა ინიშნება სადისერტაციო საბჭოს სხდომიდან არაუადრეს 40 და არაუგვიანეს 50 დღეში.
3. რეცენზენტი უნდა იყოს სტუ-ს ან სხვა დაწესებულებაში მომუშავე, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 3 შრომისა. რეცენზენტი არ შეიძლება იყოს დისერტანტის მიერ შესრულებული რომელიმე ნაშრომის თანაავტორი; ან/და დისერტანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი; დაუშვებელია, რომ ორივე რეცენზენტი იყოს რომელიმე დაწესებულების ერთი და იმავე სტრუქტურული ერთეულის (მაგალითად, ფაკულტეტის) თანამშრომელი.
4. სადისერტაციო საბჭოს მდივანი 1 კვირის ვადაში უზრუნველყოფს დისერტაციის ეგზემპლარების გადაცემას სტუ-ს ბიბლიოთეკისა და რეცენზენტებისათვის, აგრეთვე დისერტაციის ავტორეფერატის განთავსებას სტუ-ს ვებგვერდზე და მათ გადაცემას რეცენზენტებისა და სადისერტაციო კოლეგიის წევრებისათვის; აღნიშნულის უზრუნველყოფის მიზნით, დოქტორანტი ვალდებულია საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს ავტორეფერატების დამატებითი ეგზემპლარები.
5. რეცენზენტებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა (რეცენზია) ორ ეგზემპლარად უნდა წარმოადგინონ დისერტაციის გადაცემიდან სამი კვირის ვადაში.
6. რეცენზიაში უნდა აისახოს: სადოქტორო თემის აქტუალურობა, კვლევის მეცნიერული დონე, გამოყენებული მეთოდები (მეთოდოლოგია), მიღებული შედეგების სანდოობა, დისერტაციის გაფორმების ხარისხი და სხვ. რეცენზია უნდა მთავრდებოდეს რეცენზენტის დასკვნით – იმსახურებს თუ არა დოქტორანტი დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.
7. რეცენზენტის ხელმოწერა დადასტურებული უნდა იყოს იმ ორგანიზაციის ბეჭდით, რომელშიც მუშაობს რეცენზენტი.
8. თუ რეცენზენტის მიერ საპატიო მიზეზების გამო რეცენზიის წარმოდგენა შეუძლებელია ამ დებულებით დადგენილ ვადაში, აღნიშნულ მიზეზთა დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, სადისერტაციო საბჭო ნიშნავს ახალ რეცენზენტს; ახალი რეცენზენტის დანიშვნამ შეიძლება გამოიწვიოს დისერტაციის დაცვის თარიღის გადავადება შემდეგი სემესტრის დაწყებამდე, რაც სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, დეკანისა და სწავლების დეპარტამენტის შუამდგომლობით უნდა გაფორმდეს რექტორის ბრძანებით.
9. სადისერტაციო საბჭოს მდივანმა დოქტორანტს უნდა აცნობოს საბჭოს მიერ მასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

10. როგორც წესი, დაცვამდე არანაკლებ 1 თვით ადრე გამოიცემა სტუ-ს რექტორის ბრძანება დაცვის დანიშვნის შესახებ; მასში მითითებული უნდა იყოს დოქტორანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, სადოქტორო პროგრამისა და დისერტაციის დასახელებები, სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობა კოლეგიის თავმჯდომარის ვინაობისა და კოლეგიის წევრთა სამუშაო ადგილის მითითებით, ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელებისა და რეცენზენტების ვინაობა და სამუშაო ადგილი, დისერტაციის დაცვის თარიღი, დრო და ადგილი; ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე ინფორმაცია კრედიტებისა და ფინანსური ვალდებულებების შესრულების შესახებ. აღნიშნული აქტის საფუძველზე სადისერტაციო საბჭო ავრცელებს ინფორმაციას წერილობითი შეტყობინების ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, აგრეთვე უზრუნველყოფს განცხადების გამოკვრას თვალსაჩინო ადგილზე (ადგილებზე) და ფაკულტეტის ვებგვერდზე განთავსებას.

11. დაცვამდე სულ ცოტა 1 კვირით ადრე რეცენზიების თითო ეგზემპლარი გადაეცემა დოქტორანტს.

12. დოქტორანტს უფლება აქვს ორივე რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაშიც მოითხოვოს დაცვის მოწყობა; ასევე უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით მოხსნას განხილვიდან თავისი ნაშრომი ნებისმიერ ეტაპზე. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, დისერტაციის წარდგენა შეიძლება შემდეგ სემესტრში/სასწავლო წელს, თუ დოქტორანტს მთლიანად არ აქვს გამოყენებული სტუდენტის სტატუსის გაგრძელების შესაძლებლობა.

13. სადისერტაციო საბჭოსათვის დოქტორანტის დაცვაზე არ დაშვების საფუძველებია:

- დისერტაციის დაცვამდე გასავლელი სასწავლო და კვლევითი კომპონენტების (მათ შორის კომპონენტის „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ შუალედური ტესტირებების ჩაბარება) შეუსრულებლობა;
- დოკუმენტების არასრულყოფილება ან გაყალბება;
- პლაგიატის არსებობა.

14. დასაცავად დაშვებაზე უარის შემთხვევაში, დისერტაცია და მასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია ინახება დეკანატში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტაციას. (20.03.2015, №1475)

15. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ მიღებული გადაწყვეტილებები ოქმის სახით ერთი კვირის ვადაში უნდა გადასცეს დეკანატს სტუდენტის პირად საქმეში შესატანად.

მუხლი 10. სადისერტაციო კოლეგია

1. სადისერტაციო კოლეგია იქმნება ერთჯერადად, მხოლოდ კონკრეტული დისერტაციის დაცვისათვის.

2. სადისერტაციო კოლეგია უნდა შედგებოდეს სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგის 7-9 წარმომადგენლისაგან; მათ შორის 30% არ უნდა იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი. კოლეგიაში წევრის სახით უნდა შევიდნენ ასევე თემის ხელმძღვანელი და რეცენზენტები.

მუხლი 11. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა ხორციელდება სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე; სადისერტაციო კოლეგიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა 3/4 და მეტი.
2. კვორუმის არსებობის დადგენის შემდეგ, სადისერტაციო კოლეგია ირჩევს მდივანს. კოლეგიის მდივანი უნდა იყოს კოლეგიის წევრი.
3. თუ რეცენზენტი საპატიო მიზეზით ვერ ესწრება დაცვას, მისი რეცენზია სრულად უნდა იქნეს წაკითხული დაცვის მსვლელობისას.
4. თუ დოქტორანტის ხელმძღვანელი საპატიო მიზეზით ვერ ესწრება დაცვას, კოლეგიას უგზავნის შესაბამის მოხსენებით ბარათს და დოქტორანტის პიროვნულ დახასიათებას.
5. თუ დოქტორანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა დისერტაციის დაცვაზე, ან სადისერტაციო კოლეგიის კვორუმი არ შედგა, ან დაცვა არ შედგა დოქტორანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, სადისერტაციო საბჭოს მიერ დაინიშნება დამატებითი დაცვა შემდეგი სემესტრის დაწყებამდე.
6. კოლეგიის სხდომაზე სადისერტაციო კოლეგიის თავმჯდომარე აცხადებს დისერტანტის ვინაობას და დისერტაციის თემას, რეცენზენტების ვინაობას და კოლეგიას აცნობს დოქტორანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს, მათ შორის კომპონენტში „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ შუალედური ტესტირების (დისერტაციის წინასწარი განხილვის) შედეგებს, დისერტაციის დაცვის პროცედურას და დოქტორანტის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.
7. დოქტორანტი კოლეგიას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს მეცნიერულ სიახლეს.
8. დოქტორანტი პასუხობს კოლეგიის წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც კოლეგიის თავმჯდომარე კოლეგიას გააცნობს დისერტაციის წინასწარი განხილვის შედეგებს. სიტყვა ეძლევა რეცენზენტებს. თითოეული მათგანის გამოსვლისთანავე დოქტორანტი იძლევა განმარტებებს რეცენზიაში გამოთქმულ შენიშვნებსა და დასმულ შეკითხვებზე. რის შემდეგაც სიტყვა ეძლევა თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელებს დოქტორანტის პიროვნული დახასიათებისათვის. იმართება დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა შეუძლიათ როგორც კოლეგიის წევრებს, ისე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლებს.
9. დოქტორანტის და რეცენზენტების მოხსენებების, აგრეთვე კოლეგიის წევრებისა და სხვათა გამოსვლების ხანგრძლივობას განსაზღვრავს სადისერტაციო კოლეგია.
10. დისერტაციის დაცვის დროს დისერტანტმა შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერი ტიპის ვიზუალური მასალა.

მუხლი 12. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება

1. სადისერტაციო ნაშრომი ფასდება შუალედური შეფასებებისა და სადისერტაციო კოლეგიის წევრთა დასკვნების საფუძველზე (დანართი 6), დახურულ სხდომაზე დაცვის დამთავრებისთანავე დადგენილი წესის შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3):

ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი (91% და მეტი);

ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს

ყოველმხრივ აღმატება (81-90%);

გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღმატება (71-80%);

დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს (61-70%);

ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60%);

ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს (41-50%);

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს (40% და ნაკლები). (20.03.2015, №1475)

2. დისერტაციის დაცვის დროს შეფასდება:

- სადისერტაციო თემის აქტუალობა;
- სადისერტაციო ნაშრომის სიახლე;
- მომხსენებლციო ნაშრომში დასმული პრობლემის წარმოჩენა;
- პასუხი დასმულ შეკითხვებზე;
- ვიზუალურ მასალის წარმოჩენა;
- დისერტაციის გაფორმება.

დაცვის საბოლოო ქულა განისაზღვრება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით. დაცვის მინიმალური დადებითი შეფასებაა მაქსიმალური შეფასების ნახევარი. კოლეგიის თავმჯდომარე დაცვის საბოლოო ქულას, კომპონენტის „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ საბოლოო შეფასებას (შუალედური შეფასებებისა და დაცვის საბოლოო ქულის ჯამი), აგრეთვე სადისერტაციო კოლეგიის გადაწყვეტილებას კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე აცნობს დისერტანტს და აუდიტორიას.

3. სადისერტაციო კოლეგიის მდივანი აფორმებს დისერტაციის დაცვის ოქმს (დანართი 7), რაზეც ხელს აწერს კოლეგიის ყველა წევრი. მდივანი ოქმს გადასცემს სადისერტაციო საბჭოს მდივანს, რომელიც ათი დღის ვადაში აფორმებს დისერტანტის საადრიცხვო ბარათს (დანართი 8). გარდა ამისა, სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს დისერტაციის ერთი ეგზემპლარის გადაცემას ეროვნული ბიბლიოთეკისათვის.

4. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული დისერტანტის საადრიცხვო ბარათი, აგრეთვე სადისერტაციო კოლეგიის სხდომის დამოწმებული ოქმი გადაეცემა ფაკულტეტის დეკანატს.

5. ფაკულტეტის დეკანატი ამზადებს ბრძანების პროექტს პროგრამის დასრულებისა და დოქტორის დიპლომის გაცემის შესახებ. აღნიშნული ბრძანების პროექტი დაცვის ოქმთან, დიპლომის ასლთან და დისერტანტის საადრიცხვო ბარათთან ერთად გადაეცემა სწავლების დეპარტამენტს, სადაც მოხდება დოკუმენტების შემოწმება და დისერტანტის საადრიცხვო ბარათის რეგისტრაცია სათანადო რეესტრში, ხოლო ბრძანების პროექტის წარდგენა სტუ-ს რექტორისათვის. ბრძანების გამოსვლის შემდეგ მისი დამოწმებული ასლი და თანამდევნი დოკუმენტები გადაეცემა ფაკულტეტის დეკანატს პირად საქმეში განთავსებისათვის.

6. სტუ-ში მოქმედი წესებით მოხდება დიპლომის და დიპლომის დანართის გაფორმება.

7. დაცვაზე 11-19 ქულის მიღებისას ან/და სადისერტაციო ნაშრომის ჯამური 41-50 ქულით შეფასების მიღებისას, დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება (თუ მას არ უსარგებლია სტუდენტის სტატუსის გაგრძელების უფლებით). ამისათვის დოქტორანტმა სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციით დადგენილ ვადაში განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს სტუდენტის სტატუსის გაგრძელების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში დეკანის წარდგინებით შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. თუ დოქტორანტმა უკვე ისარგებლა სტუდენტის სტატუსის 2 სემესტრით გაგრძელების უფლებით, მას შეუწყდება სტუდენტის სტატუსი.

8. დაცვაზე 0-10 ქულის მიღებისას ან/და სადისერტაციო ნაშრომის ჯამური 0-40 ქულით შეფასების მიღებისას ან განმეორებით დაცვაზე ამ მუხლის მე-7 პუნქტში მითითებული შეფასებების მიღებისას დოქტორანტი კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას. ასეთ შემთხვევაში მას უწყდება სტუდენტის სტატუსი.

9. დისერტაციის დაცვის შემდეგ სადისერტაციო საბჭოს არქივში რჩება საატესტაციო საქმე, რომელშიც შედის:

- დოქტორანტის განცხადება, დადასტურებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ვიზით დისერტაციის განსახილველად მიღების შესახებ;
- დისერტაცია;
- დისერტაციის ავტორეფერატი;
- კადრების აღრიცხვის ფურცელი, დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით;
- დოქტორანტის ხელმძღვანელის (თანახელმძღვანელების) წერილობითი დასკვნა დისერტაციის შესახებ;
- დისერტაციის და ავტორეფერატების ელექტრონული ვერსია (PDF ფორმატში);
- სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი, დოქტორანტის ავტორობით ან/და თანაავტორობით შესრულებული და ამ დებულების შესაბამისად გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, მათ შორის სამეცნიერო სემინარების, ფორუმებისა და კონფერენციების მასალები, დისერტაციასთან დაკავშირებული გამოგონების/გამოგონებების (არსებობის შემთხვევაში) დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი/დოკუმენტები, აგრეთვე მათი სია;
- სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების ამსახველი შეფასებების (ნიშნების) ფურცელი;
- რეცენზენტების დასკვნები;
- სადისერტაციო კოლეგიის სხდომის ოქმი, დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით;
- დისერტანტის სააღრიცხვო ბარათის ასლი, დამოწმებული სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერით და ფაკულტეტის ბეჭდით;
- სემინარების, კოლოკვიუმების, დისერტაციის წინასწარი განხილვისა და დაცვის ვიდეო ჩანაწერები.

10. დოკუმენტაცია სადისერტაციო საბჭოში ინახება ოთხი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს.

მუხლი 13. ბათილობა

სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენა ან პლაგიატი არის დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი მოწმობის გაუცემლობის ან ბათილობის საფუძველი. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

14. დოქტორანტურა პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობით

1. სტუ უფლებამოსილია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასთან გააფორმოს ხელშეკრულება დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად.
2. სტუ უფლებამოსილია საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთობლივად განახორციელოს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.
3. სადოქტორო პროგრამის განხორციელება პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობით წესრიგდება ამ ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულებით თანამშრომლობისა და ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ.
4. პარტნიორი დაწესებულებების მონაწილეობისას დოქტორანტურაში ჩარიცხვის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს ერთობლივი დოქტორანტურის შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრულ დოქტორანტურაში მიღების პირობებს.
5. სტუ-ს დოქტორანტობის მსურველი პირის განცხადებას, ამ დებულებით გათვალისწინებულ საბუთებთან ერთად, უნდა დაერთოს პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლის თანხმობა თემის თანახელმძღვანელობაზე.
6. პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობისას დისერტაციას ერთობლივად უნდა უხელმძღვანელონ სტუ-ს პროფესორმა და პარტნიორი დაწესებულების პროფესორმა ან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სამეცნიერო პერსონალმა.

15. მობილობა დოქტორანტურაში

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მობილობის უფლება დოქტორანტს ეძლევა სწავლების პირველი წლის დამთავრების შემდეგ, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში.
2. მობილობა ტარდება „სტუ-ში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის“ შესაბამისად.
3. დოქტორანტურაში მობილობით ჩარიცხვის წინაპირობაა მობილობის მსურველის სადოქტორო პროგრამის შესაბამისობა სტუ-ს სადოქტორო პროგრამასთან.
4. სადოქტორო პროგრამაზე კონკურსის დროს მხედველობაში მიიღება:
 - სამეცნიერო პუბლიკაციები;
 - სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
 - სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საბუთები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები, პროექტები და ა.შ).

5. სადოქტორო პროგრამების შესაბამისობას, მობილობის მსურველის მიერ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას არჩეულ სადოქტორო პროგრამასთან და შესაბამისი კრედიტების აღიარებას, აგრეთვე ასათვისებელი კრედიტების რაოდენობას ადგენს საფაკულტეტო დროებითი კომისია.

მუხლი 16. დებულების ძალაში შესვლა
დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე.